ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4125894

ნომერი: AR1620749

თარიღი : 02.08.2018

გაცემის თარიღი : 17.08.2018

გაცნობის თარიღი : 20.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV , კვარტალი I , (შანდორ პეტეფის ქუჩა) ; ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი, ეშბას ქუჩაზე ; ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV , კვარტალი I , (შანდორ პეტეფის ქუჩა) , (ნაკვ. 31/16);

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ქარდავა პ/ნ 62001008307
- სამგორის დას. 28 ბინ 22

ორგანიზაცია:
- შპს ემ კუბი კოდი: 406195095

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 აგვისტოს №4099627 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 2 აგვისტოს №AR1620749 განცხადებით მომართა შოთა ქარდავამ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 02 აგვისტოს №4099627 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 02 აგვისტოს №4099627 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მ/რ ვაზისუბანი IV, კვარტალი I, (შანდორ პეტეფის ქუჩა); ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი, ეშბას ქუჩაზე; ქალაქ თბილისში, მ/რ ვაზისუბანი IV, კვარტალი I, (შანდორ პეტეფის ქუჩა), (ნაკვ. 31/16), (საკ. კოდი: N01.17.07.031.082) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 02.08.2018 წ-დან 02.08.2019 წ-ის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 აგვისტოს №4099627 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საზაფხულო ფართობად 1533.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1543.0 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 13591.7 კვ.მ-ის ნაცვლად 13600.9 კვ.მ-ის დაფისირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 აგვისტოს №4099627 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 აგვისტოს №4099627 ბრძანების ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 1543.0 კვ.მ, საერთო ფართობად 13600.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 აგვისტოს №4099627 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 აგვისტოს №4099627 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.